# სახალხო გაზეთი

№ 844 ოთხშაბათი, 13 მარტი 1913 წ. № 844

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში,—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი — ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება (კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი

1) უცხოეთის მწერლები (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა და სხვათა.
2) ქართველი ერის ისტორია, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. 40 კაპ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2, ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3 ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

ხუთშ., 14 მარტს, ქართ. დრამ. საზ. დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენ. იქნება ცნობილი ისტორიული დრამა ალ. ყაზბეგისა

კონსტანტინე ბატონიშვილი (ქეთევან წამებული) 5 მოქ. და 6 სურათად.

ქეთევან დედოფლის როლს შეასრულებს—ნ. დავითაშვილი.
კონსტანტინე ბატონიშვილის როლს შეასრულებს—ვალ. გუნია.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე; ბ-ნნი აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ჟივიძე, სარაული, ციციშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ნახევ. ს. ✦ ადგილების ფასი დაკლებულია.

რეჟისორი ვალ. გუნია.

ანონსი: ორშაბათს, 25 მარტს, წარმოდგ. იქნება სოფოკლეს სახელგანთქმული ტრაღედია ედიპე მეფე. 1094

№ 25. ტფილისის სახაზინო თეატრი № 25.

ხუთშაბათს, 14 მარტს,

ზუბალაშვილების სახ. სახ. სახლთან არსებ. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ

თავის საშუალებათა გასაძლიერებლად

დამსახურ. მსახიობ. ქ-ნ ეფ. მესხისა, ბ. კ. ყიფიანისა და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარ. იქნება ისტორ. დრამა ლეგენდა ლალატი 5 მოქ. თავ. სუმბათაშვილისა. თარგმ. გრ. ყიფშიძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ნ. ბადრიძე, ნ. გამრეკელი-ტორელი, მარგ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი ა. კახელი, ეფ. მესხი, პიერეტა, ტანელი, ყანჩაველი, ყოჩიშვილი, ო. ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, ნ. გოცირიძე, ჯელიკურაშვილი, ალ. იმედაშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ს. თავდიშვილი, ამბ. ივერელი, ა. კავსაძე, კავაძე, ალ. მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, სტურუა, რ. სალაყაია, ლ. სამაკაშვილი, ყარსიმაშვილი, გ. ფრონიაპირელი, კ. ყიფიანი, ალ. შანშიევი, მ. ჭიაურელი, ჭუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და აგრეთვე თანამშრომელთა გაძლიერებული ჯგუფი.

ადგილ. ფასი 20 კ. 3 მ.-მდე. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. დასაწყ. საღ. 8 ს.
1034 რეჟისორი ალ. წუწუნავა. თანაშემწე ნ. ჭანკვეტაძე. „წრის" ადმინ.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ცნობილი

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

საშუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსაავლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა მ. გ. რუსიძე. 1079

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინითა, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაკსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: სოლოლაკი ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. ტელეფ. კუთხე). 79

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისის ღვინო-არყით მოვაჭრეთა

კომიტეტის მამასახლისი

კონსტანტინე დავითის ძე დავითაშვილი

სთხოვს ღვინო-არყით მოვაჭრეებს, რომ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 14 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში

მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის

განსაკუთრებლად დანიშნულ პარაკლისზე. 1108

სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში,

პარასკევს, 15 მარტს,

მხოლოდ ერთი კონცერტი

ცნობილ ვიოლონჩელისტ ბოგუმილ სიკორისა

ცნობილ პიანისტ ე. ხოლოდკოვსკის მონაწილეობით.

დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები 3 მ. 20 კ.-დან ათ შაურამდე. ბილეთები იყიდება გ. ი. კერერის სამუსიკო მაღაზიაში, ხოლო კონცერტის დღეს სამუსიკო სკოლის დარბაზში საღამოს 7-ნახევ. საათიდან. 149

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მაღალაშვილი ვ. ვ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. ვ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.

ქირურგიული სნეულებანი.
მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირალოვი რ. ე. (ყოველ დღე) 12—1.

ქალთა და ბავშვთა სნეულებანი.
ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ხუდადოვი ა. ა. (ყოველ დღე) 12—1.

ბავშვთა სნეულებ.
ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. ვ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ნერვ. სნეულ. და ელექტ.
გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
ჯავახიშვილი ნ. ნ. (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს.
ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.

ყურის, ყელის და ცხვირის.
ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.

თვალის სნეულ.
მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

კანის და ვენერ.
დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 69.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგა. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. 1053

ვასწავლი ქართულ სიმღერა-გალობას

და ვადგენ 100 კაცისაგან შემდგარ გუნდს. თამარ მეფის 700 წ. სადღესასწაულოდ. გუნდის შესახებ მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერვა მიხეილ კავსაძესთან, ოთხშაბ., შაბ. და კვირაობით 5—7 საათამდე: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29. 125

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კაბელის ქ., № 6.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102


## ტფილისი, 13 მარტი

**კოკოვცევი და მაკლაკოვი.** ერთი პრემიერია, მეორე კი—შინაგან საქმეთა მინისტრი. მაგრამ, თურმე, პრემიერს არა სცოდნია, რომ მაკლაკოვს უნდოდა ეთქვა უცხოეთის ჟურნალისტისთვის ის, რაცა სთქვა. ამის შესახებ გაზ. „რეჩ"-ში ვკითხულობთ: მაკლაკოვის სიტყვებს ბევრ-ქვეყნიური საქმისა და სხვა პროგრამულ ხასიათის საქმეებზე კოკოვცევი სრულიად არ მოელოდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევს მაშინვე განუცხადებია თავის თანამოსამსახურეთათვის, რომ მაკლაკოვის ცნობილი ბაასი უცხოეთის კორესპონდენტთან არ მოსწონს. კოკოვცევის აზრით, მაკლაკოვს დამოუკიდებლად არ უნდა დაეწყო ლაპარაკი და ჯერ გაეგო, რა აზრისაა მთელი მთავრობა იმ საკითხების შესახებ, რომლებზედაც უცხოეთის კორესპონდენტს ელაპარაკებოდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, როგორც „რეჩ"-ი გადმოგვცემს, აზრად ჰქონია საბჭოს მახლობელ სხდომაზე გამოარკვიოს თავისი აზრი ამ საუბარის შესახებ.

ამასთანავე ერთად დაიბადა ხმები, შეიძლება შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა, რომელიც ეხლახან დაინიშნა მინისტრად, სამსახურს თავი დაანებოსო. როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, უმაღლეს წრეებში ცნობილ საუბრამდე უკმაყოფილონი ყოფილან მაკლაკოვისა, მაგრამ ხშირი გამოცვლა შინაგან საქმეთა ხელმძღვანელისა უხერხულად უცვნიათ. იმასაც ამბობენ, კოკოვცევი ანებებს თავს სამსახურსაო.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **მეფის მოადგილის ჩქარა განკურნებისათვის** ხვალ, მამადავითობას, მთაწმინდის ტაძარში დეკანოზი ნ. მაჭარაშვილი პარაკლისს გადაიხდის, წყლის კურთხევით, მამა დავითის ხატის წინ. მკურნავ წყაროდან მეფის მოადგილეს წყალი გაეგზავნება.

✦ გუშინ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობამ განჯის გუბერნატორისაგან 663 მან. 74 კ. მიიღო. ეს ფული შეადგენს იმ ქართულ საღამოს წმინდა მოგებას, რომელიც 2 თებერვალს წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ განჯაში გაუმართავს გუბერნატორის მეუღლეს ოლგა ალექსანდრეს ასულ კოვალიოვისას.

✦ დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო იტყობინება, რომ რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის აღსანიშნავად სინოდმა მიწერილობა დაუგზავნა **საეპარქიო უფროსებს**, წარმოუდგინონ ცნობები იმ სამღვდელო პირთა, რომელთაც სასჯელისათვის შეწერილი ჰქონდათ ჯარიმა და არ გადაუხდიათ. იმ პირთ სინოდი ან სულ აპატიებს ჯარიმას, ან და შეუმცირებს.

✦ 11 მარტს, ვასილ ალექსანდრეს ძე მახაშვილმა (20 წლ.) ძმრის ესენციით **თავი მოიწამლა.** მიზეზი საცხოვრებლის უქონლობა ყოფილა. იგი მიხეილის საავადმყოფოში გაისტუმრეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

✦ **ტრამვაი.** დღემდე ქალაქში სულ 101 ვაგონი მუშაობდა. ქალაქის დადებულ ხელ-შეკრულობის ძალით 10 მარტიდან დირექციას 29 ვაგონი უნდა მოემატებინა. 10 მარტს არც ერთი ვაგონი არ მოუმატებია. ამისათვის დირექციას დაედება ას თუმნამდე **ჯარიმა:** თვითეულ ვაგონზე საათში 2 მან. 11 მარტს სრულს რიცხვს 16 ვაგონი აკლდა; ჯარიმა დაედება 700 მანეთამდე. გუშინ 15 ვაგონი აკლდა, რისთვისაც დააჯარიმებენ 600 მანეთამდე.

— რადგანაც ქალაქის გამგეობის საერთო **კონტროლის შტატი** ერთობ მცირეა და ყველა საქმეს ვერ ასწრობს, ამიტომ ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიაში დაიბადა აზრი, გამოჰყონ საგანგებო სატრამვაიო კონტროლი და სატრამვაიო კომისიას დაუმორჩილონ.

✦ **შლიაპის წვეტიან ქინძისთავებით დრამვაის ვაგონში ჩაჯდომისთვის** გუშინ ქალაქის მეორე და მესამე უბანში 15 ქალს შეუდგინეს ოქმი.

✦ 9 მარტს, ანდრეევის ქუჩაზე, უეცრად გარდაიცვალა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის, სოფ. გუნდესტის მცხოვრები მუშა კაკო სვიმონის ძე ნანჩვირაძე, 85 წლისა.

✦ 9 მარტს, მადინოვის ქუჩაზე იპოვეს მიგდებული ბავშვი შემდეგის ბარათით: „2 თვისაა, მართლმადიდებელი, ნინო ჰქვიან". ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ იმავე დღეს გრიბოედოვის ქუჩაზე იპოვეს მიგდებული ვაჟი ორის კვირისა. ისიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაისტუმრეს.

✦ 9 მარტს პოლიციის სხვა-და-სხვა უბანში 20 უპასპორტო და 8 მათხოვარი შეიპყრეს.

✦ ტფილისის საცენზურო კომიტეტმა **აკრძალა** ახლად გამოსული ლექსთა კრებული „ცხოვრების ტალღები" **ლადო ახობაძისა.**

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** წელს ჯარის გასაწვევ ახალგაზრდათა სიას 15 მარტს ქალაქის გამგეობის სადგომში გამოჰკიდებს. ვისაც ჰსურს შეღავათის მიღება ოჯახურ მდგომარეობისა ან სწავლის გამო, იმან შესაფერი გასამართლებელი საბუთები საკრებულოს ახლავ უნდა წარუდგინოს. ვისაც სურს სამხედრო ბეგარა „ვოლნოოპრედელიაიუშჩად" მოიხადოს, იმან წერილობით განცხადება 15 აპრილამდე უნდა წარადგინოს. სამხედრო საკრებულოს მორიგი კრება ხვალ ექნება იმ ახალგაზრდათა შესამოწმებლად, რომელნიც ჯარში შარშან იყვნენ გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადნენ.

✦ გუშინდლიდან ქალაქის გამგეობა **ვაკეს მცხოვრებთ შენობების აგების ნებართვას აძლევს.** მარტო გუშინ ასეთი ნებართვა 40-მდე კაცმა გაიტანა.

✦ **მუშტაიდზე ქუჩის** გაყვანის თაობაზე გუშინ ქალაქის გამგეობამ მოლაპარაკება დაიწყო დაინტერესებულ პირებთან: ლორთქიფანიძესა, დიტრიხსა და საბალოსნო სკოლის წარმომადგენელთან.

✦ **საქალაქო მიწების ექსპლუატაციის** გეგმის შესადგენად 14 მარტს კრება ექნება ექვს აგრონომისაგან შემდგარ კომისიას.

✦ **ქალაქის საელექტრონო სადგურის კონცესიას** ძრავალი რუსეთული და საზღვარ-გარეთული ფირმა თხოულობს. ქალაქის გამგეობამ ყველა ფირმის წინადადებანი ცალკე წიგნად დაბეჭდა და ხმოსნებს დაუგზავნის, რათა ეს საკითხი წინადვე შეისწავლონ.

✦ **ქალაქის შრომის ბირჟაში.** თებერვლის განმავლობაში ჩაწერილა 441 უსაქმური—213 კაცი და 228 ქალი. ამათში რუსი ყოფილა 248, ქართველი—72, სომეხი—43, ოსი—40 და სხვა და სხვა ეროვნებისა 39. მუშა ხელის მთხოვნელი ამავე ხნის განმავლობაში 255 კაცი ყოფილა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 12 მარტს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 85 კ., აძლევენ—85 მან. 45 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მ. 75 კ., აძლევენ—82 მან. 25 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან. აძლევენ—77 მან. 25 კ.

✦ **სახელმწიფო ქონებათა გამგედ** ტფილისში დაინიშნა ყუბანისა

და შავის ზღვის სახელმწიფო ქონებათა გამგე ბ-ნი პავლოვსკი, ნაცვლად ზელენინისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

✦ წელს 25 წელიწადი შესრულდა, რაც მამა **კონსტ. კარგარეთელი** სიონის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკვნად არის. ეგზარხოსის ნებართვით აღდგომის მესამე დღეს მის იუბილეს გადაიხდიან წირვა-პარაკლისით და მილოცვებით.

✦ **ახალი ხმოსანი.** ქალაქის საბჭოს ხმოსანმა დ. ვ. ბეზობრაზოვმა ხმოსნობას თავი დაანება. მის ადგილს დაიჭერს ქალაქის მეორე საარჩევნო უბნის პირველი კანდიდატი, ქართულ გიმნაზიის დირექტორი ა. ბ. მდივანი.

✦ **ხმ. ლ. გ. ევანგულოვმა** ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრობას თავი დაანება.

✦ ამ დღეებში შეუდგებიან **დიდის მთავრის ქუჩის მოკირწვლას** საუკეთესო სისტემით.

✦ გოლოვინის პროსპექტიდან და სხვა ქუჩებიდან აღებული ფარნები შამა-დავითის ნაწილში დასდგეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის** კრება 11 მარტს მოხდა ტრამვაის დირექტორ ა. ბელოის თანადასწრებით. განიხილეს დირექციის მიერ ახლად დადებული ტარიფი, რომლითაც მგზავრებს, რომელნიც ერევნის მოედნიდან ვაგზალში მუშტაიდით მიდიან, ამ ჟამად 8 კაპ. ახდევინებენ, ნაცვლად წინანდელ 5 კ. ეს საკითხი სატრამვაიო კომისიამ 9 მარტის კრებაზეც განიხილა, მაგრამ ვერ გადასწყვიტა, რამდენად სამართლიანია დირექციის საქციელი და მისი გამორკვევა მცირე კომისიას გადასცა. უბედურება ის არის, რომ მცირე კომისიასაც ვერა გამოურკვევია-რა ამ საქმისა. ამიტომ 11 მარტის კრებაზე საკითხმა კიდევ ცხარე და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, მაგრამ საკითხი: აქვს თუ არა დირექციას ხელშეკრულების ძალით უფლება ასეთ ტარიფის დადებისა — გამოურკვეველი დარჩა. დასასრულ კომისიამ საკითხის გადაწყვეტა იურისტების დაუხმარებლად შეუძლებლად იცნო და დაადგინა, გადასცეს ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიას.

✦ **კავკასიის ქალთა საზოგადოება** თავის უახლოეს კრებაზე გადასწყვეტს შუამდგომლობას ქართველ ქალთა ჯგუფისას, რომელსაც საზოგადოებაში შესვლა სურს ცალკე ავტონომიურ სექციად.

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ** საგანგებო კომისია აირჩია, რომელსაც დაევალა სოფ. კასპში ქავქავაძისეულ მამულის დათვალიერება. საზოგადოებას ამ ადგილის შეძენა ჰსურს ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის საჭიროებათათვის. 10 მარტს კომისიის წევრნი: ვ. ი. რცხილაძე, პ. გ. მელია და ი. მ. ფირუმოვი კასპში იყვნენ და 220 დესეტინა მიწა დაათვალიერეს, რომელიც დაყოფილია ექვს დიდ ნაჭრად, კომისიამ გამოარკვია, რომ ამ მიწის სყიდვა პირიანად შეიძლება ახლანდელ მის პატრონ საგლეხო ბანკისაგან; რადგანაც საბაღოსნო სასწავლებელს ტფილისში სულ 6 დესეტინა მიწა აქვს, სადაც მუშაობას მხოლოდ საჩვენებელი ხასიათი მიუღია, ამიტომ საჭიროა კასპში მიწის შესყიდვა და იქ მეურნეობის ყველა დარგის სავარჯიშო მუშაობის ფართოდ დაყენება. კასპის მიწის ერთად-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს წყალის უქონლობა. არის იქ არხი, სადაც წყალი მდინარე ლეხურიადან მოდის, მაგრამ ზაფხულობით წყლის სიმცირე მტად იჩენს ხოლმე თავსა. ამიტომ კომისიის აზრით პირველად უნდა გამოირკვეს, რამდენად შესაძლებელია ხსენებულ მიწის უზრუნველყოფა მტკვრიდან გამოყვანილ წყლით და შემდეგ გაიმართოს ბანკთან მოლაპარაკება მიწის შესყიდვის შესახებ.

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დღეს მოხდება. საბჭო, სხვათა შორის, აირჩევს თავის წარმომადგენელს საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრების მომწვევ კომიტეტში.

✦ **მევინეობისა და მევენახეობის** საგუბერნიო კომიტეტს 15 მარტს კრება აქვს. განსახილველი საგნები: 1. მოხსენება უფროს სპეციალისტის ვ. ი. ვისნიოვსკისა სამყნობ და დასარგავ მასალის შემოზიდვის შესახებ ტფილისის გუბერნიაში და კომიტეტის სპეციალისტების 1913 წლის სავარაუდო პროგრამა. 2. საკითხი ალაიანისა, კონდოლის ამერიკულ ვაზის სანერგეებისა და ოძისის სახელმწიფო მამულის გადაცემისა ტფ. კომიტეტის ხელში. 3. კომიტეტის 1912 წლის ანგარიშის განხილვა და 4 მიმდინარე საქმეები.

## სასამართლო

✦ ქალაქის წყალსადენის გამგემ ინჟენერმა კამიშკირცოვმა ცილისწამებისათვის **სამართალში მისცა „ზაკავკაზიე"-ს რედაქტორი** ი. ი. რადიკე, რომელმაც დასტამბა წერილი: „ახალი ბოროტ-მოქმედებანი ქალაქის თვითმმართველობაში."

✦ **ქალაქის სასალახოს** ალიშენებელს ალაჯანოვს და მოიჯარადრეს ვახხიანსკის, რომელთაც ი. სულაბერიძე უჩივის ცილის წამებისათვის, ქალაქის საბჭოს ხმოსანი ნაფიცი ვექილი ი. მ. დოლუხანოვი დაიცავს.

✦ **თავ. დ. გ. მუხრანსკის** საქმე, რომელიც გუშინდლისთვის იყო დანიშნული სამოსამართლო პალატაში, სხვა დროისთვის გადაიდო, რადგანაც ბრალდებულისათვის სასამართლოს უწყება არ ჩაუბარებია. თ-დ მუხრანსკის სხვის მამულის გაყიდვა ბრალდება.

## სასწავლებლებში

✦ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი** გუშინ ერევნის ეპისკოპოსმა პიმენმა დაათვალიერა და სამღვთო სჯულის გაკვეთილებს დაესწრო.

## ქუთაისი

✦ ქუთაისში ამ ბოლო დროს გახშირდა **მოწაფეთა შორის თავის კვლა**, რაც დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს საზოგადოებაში. ამას წინად [illegible] მოიწამლა გიმნაზიის მოწაფემ ფიბერმა. კვირას სალორიის ტყეში რეალურ სასწავლებლის მოწაფეებმა ნახეს ცოცხალ-მკვდარი გიმნაზიის მე-V კლასის მოწაფე სმოლიკი. მას კარბოლის სიმჟავე დაელია, და უკვე გარდაიცვალა. გუშინ ხმა გავრცელდა კიდევ ორმა მოწაფემ თავი მოიწამლაო.

✦ სამტრედიის საზოგადოებამ გადაწყვიტა გადაიხადოს **ვლ. ალ.-მესხიშვილის** იუბილე. ეს გადაწყვეტილება დეპეშით აცნობეს იუბილიარს.

✦ ქუთაისის ციხის საავადმყოფოში **გარდაიცვალა** გამოძიების ქვეშ მყოფი რკინის გზის კონდუქტორი **გორდეზიანი.** ეს იმ პროცესში ურევია, რომელთაც მთელი ორგანიზაცია ჰქონდათ შეკრული და ყალბი საბუთებით ფულები გაჰქონდათ საფოსტო განყოფილებებიდან.

✦ 10 მარტს, როდესაც ქუთაისის „კონვოი" ლებულობდა ეტაპს მატარებლიდან ქუთაისის სატუსაღოში მისაყვანად, ერთმა **ტუსაღმა გაქცევა განიზრახა.** გაუსხლტა ხელიდან ჯარის-კაცებს და პატარებელს ქვეშ შევარდა, მაგრამ თავი მიარტყა მატარებლის ბორბალს და იქვე წაიქცა, ჯარის კაცებმა მძიმედ დასჭრეს.

✦ ასტრახანის გუბერნიაში გადასახლებულთა შორის 21 თებერვლის მანიფესტის ძალით გადასახლების ვადა გაუთავებიათ 13. მათ შორის მწერალ სკვორცოვს (სტეპანოვს). გარდა ამისა ციხიდან გაანთავისუფლეს ნადეპუტატარი ისიდორე ივ. რამიშვილი.

## დონის როსტოვი

✦ **გადმოსახლებულმა ქართველებმა** დეპეშით სთხოვეს მეფის მოადგილეს განუმარტონ, ეხება თუ არა მათ უმაღლესად გამოცემული მანიფესტი. პოლიციის სამმართველოში მიიღეს პოლიციის დეპარტამენტის განმარტება მანიფესტის შესახებ. ეს განმარტება გადასახლებულთა უმრავლესობას არ ეხება. პოლიციის ცნობებით როსტოვში ათას კაცზე მეტია გადმოსახლებული კავკასიიდან. აქედან დიდი უმრავლესობა ქართველებია.

## სოფლად

✦ **ჩოლურის გლეხებს** (სვანეთშია) უთანხმოება მოსვლიათ მებატონეებთან სანადელო მიწებზე. გლეხები ქუთაისში ჩამოვიდნენ, ამისთვის საჩივრის აღსაძრელად.

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ მესხიშვილის იუბილეს ანგარიშში შეცდომითაა დაბეჭდილი: **ს. დ.** ფორაქიშვილისაგან 50 მ. **უნდა იყოს: „ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილისაგან".**

# ტფ. ქალაქის საბჭო

**11 მარტის კრება.**

კრება დაიწყო საღამოს 8½ საათზე **ა. ი. ხატისოვის** თავჯდომარეობით.

ფეხზე ადგომით პატივი სცეს საბჭოს ხმოსნად ნამყოფ ივ. ოსეფ. **გურგენბეგოვის** ხსოვნას.

**ხმ. სვეშნიკოვი.** „ზაკავკაზიეს" (10 მარტს) დაბეჭდილია წერილი: „ახალი ბოროტ-მოქმედებანი ქალაქის თვითმმართველობაში". წერილში ნათქვამია, რომ 1911 წელს, გაზაფხულზე, წყალდიდობის გამო ავჭალის წყალსადენი საკმარის გასუფთავებულს წყალს არ იძლეოდა, რის გამოც წყალსადენის მოსამსახურენი ქალაქში შაბსა ჰყიდულობდნენ და წყალს იმითი სწმენდავდნენო; იმ დროს ფუთი შაბი 1 მ. 50—70 კ. იყო; ანგარიშებში კი შეჰქონდა, ვითომც ფუთში 2 მან. 30 კ. აძლევდაო. რამდენად მართალია გაზეთის ეს ცნობა?

**თ-დი ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი** (გამგეობის წევრი, პორტფელიდან იღებს გაზეთის ნომერს და წერილს კითხულობს). პირველსადვე უნდა აღვნიშნო, რომ წერილის ავტორს საქმის ვითარება არ სცოდნია, თორემ ეცოდინებოდა ისიც, რომ შაბი წყლის გასაწმენდად მარტო მაშინ კი არა, ყოველთვის ვყიდულობთ. 1911 წელს შაბი რვაჯერ გვიყიდნია და თითქმის ყოველთვის 1 მან. 90 კ. ფუთი, ერთხელ კი 2 მან. 30 კ. ანგარიშებში ასეა ჩაწერილი. შაბის საწყობების პატრონებმაც დაადასტურეს, რომ 1911 წელს შაბი სწორედ იმ ფასებში იყიდებოდაო.

**ხმ. ი. დოლუხანოვი.** ქუჩებზე ნიაღვრის ორმოებს სწორედ მაშინ სწმენდავენ, როდესაც ხალხი ბლომად ირევა. სასურველია ქუჩები ასე უდრო-უდროდ აღარ აყროლონ.

**ხმ. ქსავერიევი.** ქალაქის თვითმმართველობის აგენტები გაფაციცებით აგროვებენ სახლის პატრონთაგან დასაფასებელ გადასახადს. ეს ჯერჯერობით ნაადრევად უნდა ჩაითვალოს, სანამ არ გადასწყდება, ვის რარამდენი გადასახადი ეპატიება იმ 30,000 მანეთიდან, რომელიც ქალაქის საბჭომ გადასდო რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეის აღსანიშნავად. ისიც საყურადღებოა ვიცოდეთ, ჩქარა გაანაწილებს თუ არა ქალაქის გამგეობა ამ 30,000 მანეთს?

**თ-დი ნ. ი. არლუთინსკი-დოლგორუკოვი** (გამგეობის წევრი). გადასახადებს ამ ჟამად ახდევინებენ მსხვილ სახლის პატრონებს, რომელთაც 30,000 მანეთიდან ისედაც არა ერგებათ-რა. გამგეობა 20 მარტამდე იღებს თხოვნებს იმ პირებისაგან, რომელთაც დარჩენილ გადასახადის პატივება ჰსურთ. 20 მარტის შემდეგ გამგეობა დაუყოვნებლივ შეუდგება ფულის განაწილებას.

**ა. ი. ხატისოვმა** გადასცა პეტერბურგში თავის მოგზაურობის ამბავი და აღნიშნა სხვა და სხვა საქალაქო საქმეები იქ რა მდგომარეობაშია.

კრება შეუდგა **ვაკეს მოწესრიგების პროექტის** განხილვას. ვაკეს მცხოვრებლებში საშინელმა სურვილმა გაიღვიძა შენობების აგებისამ. ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე შეხვდებით იქაურ მცხოვრებლებს, რომელნიც შენობების დაწყების ნებართვას თხოულობენ, მაგრამ ამაოდ. ქალაქმა ვაკე შეიერთა, მაგრამ მისი დაგეგმვა და მოწესრიგება დღემდე ვერ მოაგვარა. ქალაქის გამგეობას შეუდგენია პროექტი და ქალაქის საბჭოს წარმოუდგინა. პროექტით რამდენი უმთავრესი ქუჩა, აგრეთვე ჯვარედინი გზები სიგანით 10 საჟენიანი უნდა იყოს, დანარჩენი კი— ექვს-ექვს საჟენიანი.

**ხ. ხუნდაძე** მედგრად იცავს 10 საჟენიან ქუჩებს. მისის აზრით 10 საჟენიანი უნდა იყოს ის ქუჩები მაინც, რომელიც გრძელია.

**თ-დი ა მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვის** აზრით საჭიროა, საბჭომ პროექტი დაამტკიცოს, რათა საქმის უარესი არევ-დარევა არ გამოიწვიოს. აღნიშნავს, რომ განიერი ქუჩები მაინცა და მაინც თავდები არ არის ქალაქის აუცილებელ გამშვენიერებისა. პირ-იქით ამ საქმეს უფრო შეაფერხებს, რადგანაც ფართო ქუჩებს მეტი ხარჯი უნდა: განათება, მოკირწვლა და სხვა.

**ხმ. ანტონოვი** საჭიროდ სთვლის გამგეობის მიერ წარმოდგენილ პროექტის ახლავ დამტკიცებას. განაგრძობს, უბეში მრავალი თხოვნა მაქვს მცხოვრებთაგან, რომელნიც მემუდარებიან, მხარი დაუჭირო ვაკეს საქმის ჩქარს გადაწყვეტას.

**ხმ. ა. ბაბოვი** (თავ-გამოდებით იცავს ათ **საჟენიან** ქუჩებს). ჩვენ ვაკე ქალაქს შეუერთეთ. ამის შემდეგ მოვალენი ვართ იქაურ ქუჩებზე ხარჯი გავწიოთ: მოვკირწყლოთ, გავანათოთ, ტრამვაი გავიყვანოთ. რატომ იმათ კი აღარ უნდა იკისრონ მცირე მსხვერპლი. ფართო ქუჩებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის გამშვენიერების საქმეში. დასტოვონ ფართო ქუჩები. მემამულეებს იქ მიწა 30 კ. აქვთ ნაყიდი და ახლა 30 მან. უნდა გაჰყიდონ.

**ხმ. ბებუთოვი.** ვაკეს მემამულე ვარ და ხმ. ბაბოვის სიტყვის შემდეგ რისამე თქმა უხერხულად მიმაჩნია.

**ხმ. მიტკევიჩი** ამტკიცებს, რომ ქალაქს უფლება აქვს ნება მისცეს, ქუჩები გაიყვანონ 10—15 საჟენის სიგანისა და არა ნაკლები, ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევის გარდა. 10 საჟენზე ნაკლებ სიგანის ქუჩა რაღა ქუჩა იქნება; იქ უნდა გაიყვანოთ ტრამვაი, არხები, ელექტრონის მავთულები, ორთავე მხარეს ქვაფენილი და მაშინ რაღა დარჩება. დასასრულ ხმოსანი ურჩევს საბჭოს, მიიღოს მხოლოდ ის ქუჩები, რომელიც ათ საჟენიანი იქნება, დანარჩენები კი ჩაითვალოს უბრალო ეზოებად, რომლის შენახვაც თვით სახლის პატრონთ დაეკისრება.

**ხმ. ანტონოვი.** იქ ღარიბი ხალხი სცხოვრობს. გადასახადებს ქალაქის სასარგებლოდ წესიერად იხდის და უსამართლობა იქნება მათდამი ასეთი სასტიკად მოპყრობა.

**ხმ. ტიგრანოვი.** საჭიროა ახლავ დამტკიცდეს პროექტი. ხმ. მიტკევიჩმა ვითომც გამოსასვლელი გზა გვიჩვენა ამ მდგომარეობიდან, ნამდვილად კი ხათაბალამდე მივყევართ. საქმის ასეთი გადაწყვეტა გამოიწვევს იმას, რომ ვაკეზე სახლებს სულ უსწორ-მასწოროდ ააგებენ და საქმის გამობრუნება შეუძლებელი იქნება, ბევრიც რომ მოვინდომოთ.

**თ-დი ა. მ. არლუთინსკიც** მას ემხრობა და დასძენს: დღეს თუ ხვალ იძულებული გავხდებით, შევისმინოთ მცხოვრებთა ვედრება და ყველა იქაური ქუჩა ჩვენ ჩავიბაროთო.

**ა. ი. ხატისოვს** შეუძლებლად მიაჩნია 10 საჟენიან ქუჩების გაყვანის იდეის განხორციელება, რადგანაც მცხოვრებნი ამდენს მიწას უფასოდ არ დაუთმობენ, გამოსყიდვა კი ქალაქს არ შეუძლიან ხელმოკლეობის გამო.

**ხმ. ი. დოლუხანოვი.** იმის გარანტიასაც არავინ გვაძლევს, რომ ექვს საჟენიანი ქუჩები თუ მაინც იქნება. ამიტომ წინააღმდეგი ვარ პროექტის დამტკიცებისა.

ხანგრძლივ და მეტად ცხარე კამათის შემდეგ, რომელმაც ნაშუაღამევის პირველ საათის ნახევარზე დასრულდა, საბჭომ დაადგინა: პროექტი ჯერ-ჯერობით არ დაამტკიცოს და დაავალოს ქალაქის გამგეობას, რათა შენობების ნებართვების მიცემის დროს ეს პროექტი სახელმძღვანელოდ ჰქონდეს და ურჩიოს მცხოვრებთ, ქუჩები პროექტის მოთხოვნილების თანახმად დასტოვონ. პროექტის საბოლოოდ განხილვისა და ცვლილებათა შეტანის უფლება საბჭომ დაიტოვა.

# არგონავტების ლაშქრობა

(ა. სვანიძის მოხსენება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე).

იოლკოსის მეფეს პელიას ორაკულმა უმკითხავა, რომ მას ცალქალამანა კაცი მოჰკლავს. როდესაც გმირმა იასონმა ანაურისში მართლაც ცალი ქალამანი დაჰკარგა, პელიას შეეშინდა და იასონის თავიდან მოშორება მოინდომა. ამიტომ მას დაავალა კოლხიდიდან ოქროს მატყლი მოეტანა (ვერძი), რასაც შეუძლებლად სცნობდა. იასონმა მთელ საბერძნეთის გმირებს მოუწოდა და კოლხიდისაკენ გაემართა. გემს, რომლითაც იასონი მოგზაურობდა „არგო" დაარქვეს, რადგანაც იგი არგოსის ათინას (ღმერთის) ჩვენებით იყო აგებული. სამი დღის შემდეგ არგონავტებმა ლემნოსს მიაღწიეს. ლემონსის ქალებს, რომელთაც ა ჟამად ქმრები დაეხოცათ და უკაცურად იყვნენ, ესენი თრაკიელებ ეგონათ, მაგრამ როდესაც გაიგ მათი ვინაობა, მაშინვე თავისას მი პატიჟეს. არგონავტებს იქ ყოფ ისე გაუტკბათ, რომ არც კი უნდოდ

# „სულის ობლობის" გენიოსი
# ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1816—1845)

3.*)

მე, რასაკვირველია, აზრად არ მქონდა, ბაირონის პოეზია განმეხილა. მინდოდა მხოლოდ აღმენიშნა ის სულიერი განწყობილება, რომელიც „მსოფლიო სევდის" დიდებულმა მგოსანმა თვის გმირებს მიანიჭა და მით, ასე თუ ისე, თავისი საკუთარი სულის განწყობილება გვამცნო, გვამცნო ტიტანიური სულის კვეთება და მშფოთვარე აზრთა სამეფოში შეგვიყვანა. თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა ბაირონს მთელს ევროპის მწერლობაზე, ეს ვგონებ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, ვისაც შემთხვევა ჰქონია ოდნავ მაინც გასცნობოდა მე-19-ე საუკუნის მწერლობას.

მე აქ მინდა ის აღვნიშნო, რომ შესაძლებელია ჩვენი სულით ობოლი მგოსანი არ იყო საერთოდ ისეთი ტიტანიური სულის მატარებელი, როგორისაც ბაირონი იყო, მაგრამ რაღაც ნათესაობა არსებობს ჩვენი მგოსნისა და „მსოფლიო სევდის" ბუმბერაზ წარმომადგენელის შორის; ამით რასაკვირველია მე ნიკოლოზ ბარათაშვილს ბაირონს არ ვადარებ, არამედ ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ არსებობს მთელი ოჯახი „მსოფლიო სევდის" რომანტიკოს მგოსანთა, რომლის დიდებული წარმომადგენელი და მამამთავარი ბაირონია, ხოლო ამ ოჯახის წევრთა შორის კი ერთი საპატიო ადგილი ჩვენს მგოსანსაც ეკუთვნის, რომელსაც შეეძლო ისეთივე კითხვით მიემართნა ცაზე მოსრიალე ღრუბლებისათვის, როგორითაც მათ ალპების მთეზე დიდებულმა ბაირონმა მიმართა:

საით მიისწრაფვით, თქვენ ღრუბელნო? ეგებ თქვენც იგივენი ხართ, რაც ადამიანის სულში ყოველ წამს ცხოვრობსო?

„სულით ობოლის" მგოსან ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიას დაწვრილებით არ შევეხები, რადგან სულ სხვაა ბიოგრაფიული აღწერა და სხვა შემოქმედების კრიტიკული განხილვა. გარდა ამისა ჩვენთვის ამ ჟამად მაინც და მაინც არც საჭიროა ვიცოდეთ ყოველივე დაწვრილებით, რადგან ამ მხრივ მისი ლექსები ყველაზე უკეთესად გადაგვიშლიან პოეტის სულის სალაროს, მოგვცემენ კლიტეს მისი სულის სამეფოში შესასვლელად და შეძლებას მოგვანიჭებენ, განვსჭვრიტოთ სიმწვავე სულის ობლობისა. ჩვენ ვიცით, თუ როდის დაიბადა პოეტი, ვიცით როდის და სად გარდაიცვალა იგი და ეს უკანასკნელი განსაკუთრებით, ესე იგი მისი ქალაქ განჯაში, მშობელ ქვეყანასა და ნათესავ-მეგობრების მოშორებით სიკვდილი, პოეტის მწარე მხვედრის უკანასკნელი აკორდია, რომელიც ერთ ნაკვთს კიდევ შემატებს ჩვენს წარმოდგენას იმ სულით ობლობისას, რომლითაც მოცული იყო პოეტის ცხოვრება.

საქართველოს იმ დროის მდგომარეობა, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი სცხოვრობდა, ძალზე გულშემზარავი და სავალალოა. ჩინოსნების ძებნაში გართული თავად-აზნაურობა გულ-გრილად უცქეროდა ქვეყნის უკუღმართ მდგომარეობას; იგი ხშირად ხელსაც კი უწყობდა მის დაქვეითებას და პირადი ბედნიერებისათვის მზად იყო სრულიად უარ ეყო სამშობლო. გლეხობა მონობაში ლაფავდა სულს, ხოლო ინტელიგენციის სახსენებელიც კი სად იყო?

ბევრს არ გავაგრძელებ. საქართველოს იმ დროის მდგომარეობა შავ-ბნელით მოცულ ღამეს მოგვაგონებს და ამ ღამეში კი რაღაც საოცრად მოსჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილი თვისი სულის უსაზღვრო სწრაფვით; როდესაც გარეშემო მხოლოდ ღვინოსა და ორდენებს უმღეროდნენ და მათ ვერ გაცილებოდა უმრავლესობის ფიქრი და ზრახვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი საკაცობრიო საკითხების ფიქრებს შეეპყრო, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ მას.

თუ მშობელი ქვეყნის მდგომარეობით გულ-მოკლული იყო მგოსანი, არა უმეტესად ბედნიერი იყო იგი თავის პირად ცხოვრებაში. ამის დამამტკიცებელია მისი წერილები. ერთს წერილში პოეტი ამბობს: „ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, შენ **არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო**! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, **მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილ ადგილს.** ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსო". ამაოდ ემუდარებოდა იგი გრიგოლ ორბელიანს, ეშვილა იგი და საშუალება მიეცა მისთვის თვისი მოწოდების სისრულეში მოყვანისა, იგი გრიგოლ ორბელიანს სწერს: „ხანდისხან ჯავრით დავაპირებ მასთან (ხვედრიანს შებმას **ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულებაო**".

ჩვენს მგოსანს გამოუცნობ არსებისადმი მისწრაფება შემდეგი სიტყვებით გამოუთქვამს:

**მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდება საწუთროება,**
**გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,**
**ზენაარსთ სამყოფს, რომ დაშთეს აქ ამაოება...**
**მაგრამ ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს".**

დიახ, პოეტი ხშირად ეძიებდა „**ზენაარსთ სამყოფს რომ დაეშთო ქვეყნიური ამაოება**", მაგრამ მოკვდავის გონება ვერ სცნობდა „განგებას ციურს". გარდა ამისა პოეტი ხომ განუწყვეტლივ ეძიებდა თავის ხვედრს და ამ ძიებაშია, თუ გნებავთ, ჩვენი მგოსანი სულით ობოლი.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ პოეტს შეძლება მისცეს ცხოვრების ღრე-კლდეს განშორებოდა და იგიც მისთვის სანატრელ გაშლილ ადგილს დაემკვიდრა, განა მისი სული ამით დაკმაყოფილდებოდა? განა სულის უსაზღვრო მისწრაფება ერთი წამით მაინც დასცხრებოდა მასში? მე მგონია, არასოდეს: ერის ცხოვრებაში იბადებიან ხანგამოშვებით ისეთნი პირნი, რომელნიც თვის შემოქმედებაში გამოსთქვამენ საერთო ტანჯვას, საზოგადოდ ადამიანის გოდებას, „მსოფლიო სევდას" და სწორედ ამ პირთ ეკუთვნის ნიკოლოზ ბარათაშვილი. იგიც ამიტომაა ჩვენთვის გენიოსი, ჩვენს მწერლობაში რომანტიული მიმართულების უმაღლეს საფეხურამდის მიმტანი. ამ მხრივ იგი ბაირონს მოგვაგონებს.

ჩვენი მგოსანი, მწარე ფიქრთაგან განაწამები, სულის შვებას შემოქმედებაში ჰპოულობდა, მასში დროებით მაინც ისვენებდა სულის შემხუთველ ფიქრთაგან. ბაირონის სულისათვის კი უცხო იყო მოსვენება, მისთვის არა იყო-რა ისეთი, რომელსაც შესძლებოდა მისი ტიტანიურ სულის ტკივილების დაყუჩება, დაამება. ამიტომაა, რომ იგი იმ სალ კლდეთ მოსჩანს, რომელსაც ცხოვრების ტალღები დროთა ვითარებაში ნელ-ნელა უთხრიან ძირს და ერთ დროს იგიც უეჭველად შთაინთქმება უფსკრულში, მაგრამ მისი არსებობის დროს კი ვერვინ იხილავს მის სილაჩრეს და დაძაბუნებას და თუ გნებავთ, უკანასკნელად კვლავ ამხილებს თვის სიდიადეს, ბუმბერაზობას. ჩვენი მგოსანი კი უფრო გერმანიის რომანტიკოს ახალგაზრდობას ენათესავება, ხოლო სულის სინაზით და სიწრფელით იგი უფრო შელლის მოგვაგონებს, ვიდრე ბაირონს.

ჩვენს მგოსანს ბევრი არ დაუწერია, მაგრამ დაწერილიც საკმარისია მისი სულის სიმშვენიერის წარმოსადგენად და იმ სულის ობლობის განსაჭვრეტად, რომლითაც მოცული იყო „გულ-დახურულთა" მეგობარის მგოსნის არსებობა.

ჩვენთვის ამ ჟამად ყველაზე უფრო საყურადღებოა მგოსნის მიერ სულით ობლობის სიმწვავის დასურათება. ნ. ბარათაშვილის აზრით:

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას
ნუ ვინ ჰსჩივის თავის უთვისტომობას,
**საბრალოა მხოლოდ სული ობოლი**
**ძნელ-ღა ჰპოვოს, რა დაკარგო მან ტოლი**

სულს დაობლებულს „არღარა აქვს ნდობა ამა სოფლისა და არღა იცის ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობაო". მართლაც რაღა უნდა იყოს ბნელი ადამიანისათვის სულით დაობლებაზე, როდესაც იგი მოკლებულია სწორს, მეგობარს, ვისაც გადუშლის თვის ჰრილობებს და მათში ღრმად ჩაახედებს; და სევდის გაზიარება მეგობრისათვის ხომ ერთგვარი შვებაა ჩაგრულისათვის, ერთგვარი შემსუბუქებაა მისი სულის მძიმე ტვირთისა. თვით პოეტმაც, რო სცნო „წუთი სოფელი მომღერალი" მას შემდეგ „ხმა რამ თან სდევს ყოველთა მისთა ზრახვათა და საწადელ

*) იხ. „სახ. გაზ." № 843.

*) შელლი რაღაც განსაკუთრებითი მუსიკალური არსებაა, რომლის შემოქმედებაში საუცხოოდაა აწერილი სიყვარული, როგორც მსოფლიოს სული („ეპიფსიხიდიონ").

შინ დაბრუნება, ჰერაკლე რომ არ ყოფილიყო გემზე დარჩენილი. შემდეგ არგონავტებმა გაიარეს ელექტრა, ხერსონესი, და კუნძულ კიციკის მიადგნენ. ამ კუნძულის ნაწილზე ექვს ხელიანი დევები სცხოვრობდნენ; მეორე ნაწილზე კიკიციკოსი. აქ არგონავტები ჩამოხდნენ და არკადიის წყაროსთან ღუზას ქვა გამოუცვალეს. გაიგო თუ არა მათი მოსვლა, კიციკოსმა მაშინვე მიიპატიჟა. აქ არგონავტებმა სამსხვერპლო აუგეს აპოლონ ეკბაზიოსს და მსხვერპლიც შესწირეს. მეორე დღეს ადრე ავიდნენ დინდიმოსზე, რათა აქედან შემდეგი გზა დაეთვალიერებინათ. გემზე დარჩენილებს უნდოდათ გემი სამგზავროდ დაემზადებიათ და სრუტედან გამოეყვანათ, მაგრამ მათ დაინახეს, რომ სრუტეს გასავალი მდევებს შეუკრავთ და გემის დატყვევებას აპირებენ. გაიმართა ბრძოლა, რომლის დროსაც წასულებიც დაბრუნდნენ. მდევები გასწყვიტეს (უმთავრესად ჰერაკლეს შვილდ-ისრით). ამის შემდეგ არგონავტები გზას გაუდგნენ. ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა, და გემი თურმე ისევ კიციკოს დაბრუნდა. არგონავტებმა ეს ვერ შეამჩნიეს, მაგრამ ისინი ვერც კიციკოსელებმა იცნეს. ამიტომ გუშინდელ სტუმარმასპინძლებს შორის სასტიკი ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც იასონს თვით კიციკის მეფე შემოაკვდა. არგონავტებმა მოპირდაპირეები სძლიეს და ბევრიც გასწყვიტეს. მხოლოდ მეორე დილით გამოირკვა თუ რა მოხდა. ორივე მხარემ თავისი საქციელი სამი დღე იმგლოვა. მოკლული მეფე დიდის პატივით დაასაფლავეს. მისი ცოლი ამ უბედურებას თან გადაჰყვა. მისი ცრემლებისაგან წარმოსდგა წყარო „კლეიტა" (ამ ქალს „კლეიტა" ერქვა).

თორმეტი დღე და ღამე ისეთი საშინელი ქარი ჰქროდა, რომ არგონავტებმა წასვლა ვერ მახერხეს. ამიტომ იასონი ავიდა დინდიმოსზე და ღმერთთა დედას საკურთხეველი აუშენა და მსხვერპლიც შესწირა. იმის ნიშნად, რომ იასონის მსხვერპლი ღმერთმა შეიწირა, იმ ადგილს სადაც სამსხვერპლო იყო წყარომ ამოჰხეთქა. ამ წყაროს შემდეგ იასონის წყაროს უწოდებდნენ. ამას შემდეგ ქარი მალე ჩადგა და არგონავტებიც გაემგზავრნენ.

რინდაკოსის ახლოს, სადაც ეგეონის ძეგლი სდგას, ჰერაკლეს საჭე გაუტყდა. ამიტომ, როცა გემი კიოსს მიუახლოვდა, ჰერაკლე ახალის მოსაჭრელად გადმოხტა. მას უკან ჰილასი გაჰყვა, რომელსაც წყლის მოტანა უნდოდა. წყაროზე ჰილასი ნიმფამ დაიჭირა და მოიტაცა. ჰილასმა ყვირილი მორთო. ყვირილზე გემიდან პილიფემი გამოეშურა, ტყიდან კიდევ ჰერაკლე. ესენი მალე ერთმანეთს შეხვდნენ და ჰილასს ძებნა დაუწყეს. მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გაიგეს. ამ ძებნაში არგონავტებს მოთმინება გამოელიათ. …თონაც ეძიეს წასულები და რომ ვერ იპოვეს, გზას გაუდგნენ. ტელამონი წასვლის წინააღმდეგი იყო მაგრამ ბორეადები არ დასთანხმდნენ, რადგანაც ზღვის ღმერთმა გლავკმა მათ უთხრა, რომ ჰერაკლეს კოლხიდაში მისვლა ეშინიანო. მანვე აუწყა მას, რომ ჰილასი ნიმფამ ქმრად გაიხადა. რაც შეეხება ილიფემს, გლავკმა უთხრა, რომ იგი ქალაქს დაარსებს კიოსზე.

ამის შემდეგ არგონავტებმა ბებრიკების სამეფოს მიაღწიეს, სადაც ამიკოსი მეფობდა. უკანასკნელმა არგონავტები კრივში გამოითხოვა. არგონავტებიდან პოლიდევკი გავიდა და მოჰკლა კიდეც. ბებრიკელებმა თავის მეფის მოკვლისათვის სამაგიეროს გადახდა მოუნდომეს, მაგრამ არგონავტებმა ისინი გააქციეს.

აქედან არგონავტებს ბოსფორამდე არ დაუსვენიათ. აქ ამ დროს აგენორიდი ფინეუსი მეფობდა. ოდესღაც ზევსმა მას ზე-მხედველობის ნიჭი მისცა, მაგრამ რადგან ფინეუსმა ეს ნიჭი ცუდად მოიხმარა, ამიტომ გაჯავრებულმა ღმერთმა დააბრმავა და სატანჯავად ჰარპიები მიუსაჯა (ზოგი ამბობს, რომ ფინეუსი კოლხიდის მეფემ აეთესმა დააბრმავაო). დაბრმავებისას ღმერთმა აღუთქვა, რომ გაჭირვებიდან მას ცოლის ძმები იხსნიან. ესენი მართლაც არგონავტებთა შორის იმყოფებოდნენ. გაიშალა თუ არა სუფრა, ჰარპიები მაშინვე მოფრინდნენ და კვლავინდებურად ყველაფრის შეჭმა უნდოდათ, მაგრამ ფინეუსის ცოლის ძმებმა, რომელთაც სხვათა შორის ფრენაც იცოდნენ, იშიშვლეს ხმლები და ჰარპიებს დაედევნენ და კრითამდე გაჰალალეს. ჰარპიებმა სიტყვა მისცეს, რომ ფინეუსს აღარ შეაწუხებდნენ. ფინეუსმა არგონავტებს მით გადაუხადა, რომ აუწყა თუ გზაში რა განსაცდელი მოელოდათ. სახელდობრ მან აუწყა, რომ ზღვაზე ერთ ადგილს ორი მოძრავი მთაა, რომელთა შორის არგონავტებს უეჭველად უნდა გაევლოთ, მაგრამ როგორც კი გემი მოხვდებოდა მათ შორის, ეს მთები საშინელის სისწრაფით დაეჯახებოდნენ ერთმანეთს და გასრესდნენ რაც შუაში მოჰყვებოდა.

არგონავტებმა აქ თორმეტ ღმერთს საკურთხეველი აუშენეს, მსხვერპლი შესწირეს, და კოლხიდისაკენ გაემართნენ. როგორც კი მათ საშინელ მთებამდე მიაღწიეს, წინ პინთეუსისაგან წამოყვანილი მტრედი გაუშვეს. მთები ისეთის სისწრაფით დაეჯახნენ ერთმანეთს, რომ მტრედს ბოლო მოსწყვიტეს. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს უნდა მოშორებოდნენ. არგონავტებმაც ამით ისარგებლეს. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მოუსვეს ნიჩბებს და განსაცდელს გაასწრეს. „არგოს"-ის ცხვირი მაინც მოჰყვა მთებს შუა და რასაკვირველია, დაიმტვრა. მას შემდეგ კი ეს მთები ადგილიდან არ დარყეულან. არგონავტებმა როგორც იქნა შავს ზღვას მიაღწიეს, გაიარეს შავი მთების ახლო და უდაბურს კუნძულს თინიას მიადგნენ, სადაც მათ ჰიპერბორეიდან (კავკასიიდან) დაბრუნებული ღმერთი აპოლონი შეხვდათ. არგონავტებმა მას კუნძული შესწირეს, საკურთხეველი აუგეს და თაყვანისცემა აღუთქვეს. სამი დღის დასვენების შემდეგ, არგონავტები კვლავ მგზავრობას შეუდგნენ და რამდენიმე დღის შემდეგ მარიანდიდების ქვეყანას მიაღწიეს, სადაც მათ ახერუზის მთების ძირში ნავთსაყუდარი მოსძებნეს და დაისვენეს. აქ მდინარე ახეონი ჩამოდიოდა, რომლის ახლო ჯურღმული იმყოფებოდა, საიდანაც ჯოჯოხეთში ჩასვლა შეიძლებოდა. მარიანიდების მეფე ლიკოსის სიხარულით შეეგება არგონავტებს, რადგან მას უკვე გაეგო, რომ მისი მტერი ამიკოსი არგონავტებმა მოჰკლეს. მან არგონავტებს შეჰპირდა, რომ თავის შვილს გაატანდა გზის მაჩვენებლად. ბოლოს არგონავტებმა კოლიხოროს მიაღწიეს. აქ დასაფლავებულ იქმნენ სტელენოსი და ჰერაკლე, რომელნიც ამაზონელების ქვეყნიდან დაბრუნებულნი, აქ გარდაცვლილიყვნენ. საკურთხის შემდეგ აქ მათ თვით ჰერაკლეს აჩრდილიც გამოეცხადათ. ამ ქვეყანას ლირა დაერქვა, რადგან მგოსანმა ორფეიმ აქ თავისი ლირა დასტოვა. არგონავტებმა პართენიოსი, სეზამონი, ერითინი, კრომნა და კიტროსი გაიარეს და სინოპს მიაღწიეს, სადაც ანტოლიკი და პლოგიოსი შეიერთეს, რომელნიც ჰერაკლეს ჩამოშორებოდნენ. შემდეგ არგონავტებმა თვით ამაზონელების ქვეყანასაც მიაღწიეს, მაგრამ მათთან შეჯახებას მოერიდნენ და როგორც კი ზურგის ქარი დაუდგათ, მგზავრობა განაგრძეს. ტიბარენების და მიზიკოკების ქვეყნის შემდეგ კუნძულ არეთასთან მივიდნენ, სადაც ერთგვარი ფრინველები იყო, რომელნიც ფრთებს ისრებივით ხმარობდნენ. ერთმა ასეთმა ფრინველმა კლიტიოსი მოჰკლა.

(შემდეგი იქნება)

---

… ცხადად თუ სიზმრად მას იგი …ლ ერთსა უწვრთვნის გულისა ჰქადა:

**ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი**
**ვინძლო იპოვნო შენი საშვენი.**

და ამ განუწყვეტელ ძიებაში იყო, როგორც ვსთქვი, ჩვენი მგოსანი სულით ობოლი და არ იყო მდგომარეობა, რომლის განხორციელებასაც შეეძლო პოეტისათვის ეთქმევინებინა: ვიპოვე ჩემი საშვენიო. არ იყო წუთი, რომლის მიმართ სულით ობოლს მგოსანს შეეძლო მიემართნა: შეჩერდი, ბედნიერო წუთოო.

სული ბოროტიც კი იმას სცდილობს, რომ წარუკვეთოს პოეტს „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება" და …ლზე გამწყრალი მგოსანი მას აღშფოთებით მიმართავს:

**განვედი ჩემგან, ჰა მაცდურო,**
**სულო ბოროტო!**
**რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი**
**უსაგნოდ, მარტო,**
**ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო,**
**სულით მახვრალი?**

მაგრამ პოეტი არასოდეს არ მისულა მანფრედისა, თუ ჰაროლდის გაბოროტებამდის და არასოდეს არ აღუმართია იარაღი ადამიანისა და ადამიანთ საზოგადოების წინააღმდეგ.

იგი ცხოვრებით გულ-მოკლული, დაობლებული, მოდუდუნე მტკვრის პირად. შემდეგ მწარედ სიტყვებს წარმოსთქვამს:

**არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე**
**ჩვენი ცხოვრება**
**რად იყო ფუჭი და მხოლოდა**
**ამაოება?...**
**მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი,**
**თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?**
**ვინ არის იგი, ვისთვის გული**
**ერთხელ აღევსოს**
**და რაც მიელოს ერთხელ ნატვრით,**
**ისი ეკმაროს?***)

ეს სიტყვები ჩვენთვის ფრიად საგულისხმიერო და საყურადღებოა. აქ მგოსანი ხომ იმ ცხოვრებაზე არ ლაპარაკობს, რომელსაც მისი დროის ქართველი ერი ატარებდა; იგი ეხება საერთოდ ქვეყნიურ ცხოვრებას, წუთის-სოფელს და სასოწარკვეთილად გვეკითხება, რა არის იგი, თუ არა საწყაული აღუვსებელიო. მართლაც სად არის საზღვარი ადამიანის ფრთა გაშლილ სურვილებისა, სად არის დასასრული მისი სულის უსაზღვრო სწრაფვისა? აქ ნათლად ხასიათდება ჩვენი მგოსნის „მსოლიო სევდა", რომლის შუაგული ადამიანის სულის მუდმივ დაუკმაყოფილებას უჭირავს და აქ, თუ გნებავთ, სწორედ ის ზნეობრივი უკმაყოფილებაა, რომელიც გამოწვეულია ადამიანის იდეალსა და ცხოვრების ურთი-ერთან შეტაკებით, პირველის მეორესთან შეუსაბამლობით.

მწუხრად გაისმოდა ჩვენი მგოსნის ქნარის სიმების ხმები და ეს ხმები მისი ბრძოლით მოქანცული სულის ნამდვილის გამოძახილი იყო, იგი პოეტის სულის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მკითხველისათვის გასაგებ დამწუხრებულ აკკორდებში გამოთქმა იყო.

სულით ობოლი პოეტი სიყვარულში ეძიებდა სულის სიმშვიდეს, მაგრამ გასაოცარი იქნებოდა თუ მკაცრი იღბალი ამ შემთხვევაში გულკეთილობას გამოიჩენდა და პოეტს ბედნიერ წუთებს მიანიჭებდა. პირიქით პოეტი იმაშიაც კი რწმუნდება, რომ სატრფოსს „ცრემლი უცნაური მოელოდა მის ობლობას". ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარული წმინდა რამ არის, ადამიანის სულის უნაზესი ძალაა, რომელიც ნათელს ჰფენს ადამიანის ქვეყნიურ არსებობას. და ან კი როგორ შეეძლო სხვა შეხედულება ჰქონოდა სიყვარულზე იმ პირს, რომლის სულის სიმშვენიერე თვით იყო ნათელი. მართალია პოეტი ერთს ლექსში ამბობს:

**ჰა საყურეო,**
**გრძნებით ამრეო,**
**ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?**

მაგრამ პოეტის აზრით სილამაზე ხომ **მხოლოდ ხორციელების ნიჭია**, ერთ დროს ყვავილივით დასჭკნება იგიო, ხოლო „**მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული, რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სულიო**":

**„თვით უკვდავება მშვენიერს**
**სულში მდგომარეობს,**
**მას ვერც შემთხვევა და ვერც**
**ხანი ვერ დააბერებს.**
**მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა**
**ჰშობს სიყვარულსა,**
**ზეგარდმო მადლით დაუხსნელად**
**დამტკიცებულსა".**

ასეთ სიყვარულს ეძიებდა მგოსანი და რა საკვირველია, თუ იგი მას ეგრე ადვილად ვერ იპოვიდა.

(დასასრული იქნება)

ალ. წერეთელი.

*) ხაზი ყველგან ჩვენია. ავტ.

---

# წერილი პეტერ-ბურგიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

17 თებერვალს სახელმწიფო სტამბის ძველ შენობაში გაიხსნა ფრიად საყურადღებო გამოფენა ბეჭდვითი ნაწარმოებთა, რაც გამოსულა რუსეთში 1912 წლის განმავლობაში. ასეთი გამოფენა რამდენიმე წელიწადია, რაც იმართება იმავე შენობაში. უმთავრეს მომწყობად, როგორიც უწინ, არის „Книжная лѣтопись"-ის რედაქტორი ა. დ. ტოროპოვი. გამოფენაზე ყველაფერს აქვს ადგილი დათმობილი: აქ ნახავთ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს, ანგარიშებს, აფიშებს, კალენდარებს, ბროშურებს, რვეულის ყდას და სხვა.

წიგნების რაოდენობა თან-და-თან მატულობს, როგორც სჩანს დიაგრამებიდან. 1912 წ. გამოსულა სულ 34,630 თხზულება 133,561,886 ცალი, 40,608,677 მ. 46 კ. ღირებული.

ენოვნების მიხედვით აგრეთ დანაწილებული: რუსულ ენაზე გამოსულა 27,399 თხზულება, 111,568,847 ცალი, 34,484,649 მან. პოლონურ ენაზე—1,916 თხზ. 6,306,039 ც., გერმანულზე—822 თხზ. 1,621,537 ც., ლატიშურზე—732 თხზ. 2,590,200 ც., ძველ ებრაულზე—565 თხზ. 1,019,558 ც., ებრაულზე—556 თხზ. 1,765,290 ც., ესტონურზე—465 თ. 1773,955 ც., თათრულზე—361 თხზ. 1,649,257 ც., სომხურზე—241 თხზ. 384,662 ც., ქართულზე 227 თხზ. 437,438 ც.

საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ძლიერ შემცირებულია რიცხვი იმ წიგნებისა, რომელიც ეხებოდა მაძებარ პოლიციელთა ცხოვრებას. ასეთ წიგნებს უწინ დიდი გასავალი ქონდა, 1912 წ. სულ გამოსულა 39 სახელით, 491,000 ცალი.

რომანოვებთა გვარის იუბილეს გამო არის გამოფენაზე ცალკე განყოფილება, სადაც თავი უნდა მოუყარონ ყველა იმ გამოცემას, რაც ამ დღესასწაულს შეეხება. 28 თებერვალისათვის უკვე 350 სხვა-და-სხვა თხზულება იყო ასეთი შინაარსის.

შ. დ.

# ქართული საღამო

## განჯაში

ორს თებერვალს განჯაში გაიმართა ქართული საღამო ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. აქაური ქართველი ინტელიგენცია, რომლის რიცხვი თვით ქალაქში ათ ოჯახს თუ აღემატება, ორი თვის წინად შეუდგა საღამოსათვის მზადებას: აირჩიეს მომწყობი კომიტეტი, რომელსაც დაევალა როგორც პროგრამის შემუშავება, ისე აღმასრულებელ ძალთა შოვნა.

საღამოს დიასახლისობა კომიტეტმა განჯის გუბერნატორის მეუღლეს **ქ-ნს ო. ა. კოვალიოვისას** სთხოვა, რომელიც სიამოვნებით შეეგება ამ საკულტურო საქველ-მოქმედო საქმეს და თანხმობა განაცხადა.

საერთო კრებაზე გადასწყდა, რომ ქართული საღამო შემდგარიყოს ქართული პიესისაგან, ქართული და რუსული სიმღერებისაგან და ცეკვათამაშისაგან. მთავარ სიძნელეს წარმოადგენდა ქართველ მომღერალთა გუნდის შედგენა, რადგანაც თვით ქალაქში ქართველები ნაკლებად არიან. ამიტომ მომღერალთა გუნდში მონაწილეობას იღებდნენ, ქართველებს გარდა, რუსები და სომხები. გუნდის მომზადება იკისრა ვაჟთა გიმნაზიაში გალობის მასწავლებელმა ბ-ნმა ბეჟაშვილმა.

წარმოსადგენად აირჩიეს ცაგარლის „ბაიყუში", რადგანაც უკეთესი პიესისთვის ძალები არ იყო და ამ პიესისთვისაც კი საჭიროდ გახდა ტფილისიდან მოწვევა მსახიობ ბ-ნ აწყურელისა.

რუსულ სიმღერებისთვის გადასწყვიტეს ტფილისიდან მოეწვია საოპერო მომღერალი ბ-ნი იაროსლავსკი; გუნდისათვის ტფილისიდან დაიბარეს ქართული ეროვნული ტანისამოსი. ყოველი ღონისძიება იყო მიღებული, რომ ქართულ საღამოს ესიამოვნებინოს არა მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ რუსებიც, სომხებიც და თათრებიც.

საღამო გაიმართა ქალაქის საზოგადო კლუბში. კლუბის დარბაზი მორთული იყო სუროებით, სხვა და სხვა მცენარეებით, კიოსკები ცოცხალი ყვავილებით, რომელიც ტფილისიდამ იყო მოტანილი და ყველა ესენი გაბრწყინვებული იყო ელექტრონის შუქით; ცხრის ნახევარზე დარბაზი უკვე გაივსო ხალხით და ცხრა საათზე დაიწყო ქართული წარმოდგენა. სცენის მოყვარეებმა მშვენივრად ითამაშეს, რისთვისაც საზოგადოებამ უხვი ტაშის კვრით დააჯილდოვა. აწყურელის ყოველი მიხვრა-მოხვრით საერთო ხარხარს იწვევდა.

პიესის შემდეგ სცენაზე გამოეფინა მომღერალთა გუნდი, გამოწყობილი ქართულ-გურულ-იმერულ ტანისამოსებში; მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე ამ სურათმა; იმღერეს: „სამშობლო", „ნანინა", „მივალ გურიაში", „ნეტავი გოგო", „რენო" და „შარი-შური". სიმღერამ საერთოდ კარგად ჩაიარა. ზოგიერთი ნომერი გაიმეორეს საზოგადოების თხოვნით.

ბოლოს დამსწრეთა სმენა დაატკბო ბ-მა იაროსლავსკიმ როგორც ხმით (პირველი ბარიტონია), ისე გრძნობიერი მღერით. შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში, რომელმაც დილის ექვს საათამდის გასტანა.

საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

საღამოს მოწყობაში ოთახს მანეთზე ცოტა მეტი დაიხარჯა; წმინდა შემოსავალი შემოწირულებიანათ 665 მანეთს შეადგენს; მოსალოდნელია შემოწირულება კიდევ შემოვიდეს.

აღსანიშნავია განჯის გუბერნიის ზოგიერთ მემამულეთა უხვი შემოწირულება: მაგალითად, ტაგიევმა შემოსწირა ასი მანათი, ხან-სავნოკსკიმ—50 მან. და არზუმანოვმა 25 მ.

არც ხელმოკლე ქართველი მოხელეები, რომელნიც გაბნეულნი არიან გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეებში, ჩამორჩნენ სხვებს და შემოსწირეს: ვინ თუმანი, ვინ თხუთმეტი მანათი და მეტიც, ზოგმა საკუთარი ფული, ზოგმა კი შეგროვილი ამ მიზნისათვის.

ზემოაღნიშნული თანხა (665 მან.) გაგზავნილია ტფილისში დანიშნულებისამებრ. საღამოს მომწყობი კომიტეტი ღრმა მადლობას უხდის ქ-ნს ო. ა. კოვალიოვას იმ მფარველობისათვის და დახმარებისათვის, რომელიც გაუწია ქართულ საქმეს. დიდი მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ყველა არა ქართველნი, რომელთაც შესწირეს ქართველ საღამოს ან ფული, ან დრო და პირადი შრომა, უსასყიდლოდ.

გ. ქ.

# ავსტრია და მოკავშირენი

წინა წერილში ვამბობდი, რომ სკუტარის ბედის გადაწყვეტამ კიდევ ერთი ახალი და თავსატეხი საკითხი შემატა ბალკანეთის ისედაც აწეწილ-დაწეწილ გარემოებას. პირველ ხანებში, სანამ ალბანეთის ავტონომიურ სახელმწიფოს შექმნის იდეა დაიბადებოდა, სკუტარის მომავალი, ისე როგორც დანარჩენი ალბანეთისა, მარტივად და ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი ბალკანეთის მეომარ სახელმწიფოებს. ალბანეთი, როგორც ევროპის ოსმალეთის შემადგენელი ნაწილი, იმავე მდგომარეობას უნდა დაქვემდებარებოდა, როგორც ოსმალეთის სამკვიდროს მოელოდა საზოგადოდ, ე. ი., მოკავშირეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი განაწილება. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ავსტრიამ გადაჭრით უარჰყო მოკავშირეთა განზრახვა და მოითხოვა ალბანეთის ავტონომიურ სახელმწიფოდ გამოცხადება. თუმცა თავის-თავად ავსტრიის წინადადება სამართლიანი და კაცთმოყვარული იყო, რადგან მისი ინიციატივით, თავისუფალი, ეროვნული ცხოვრების საშუალება ეძლეოდა მრავალტანჯულ ალბანეთს, მაგრამ დუნაის შეერთებული იმპერია იმდენად ჰუმანიური ლტოლვილებით არ მოქმედებდა ამ საკითხის აღძვრის დროს, რამდენადაც ვიწრო ეგოიზმითა და მატერიალურ გამორჩენით. ალბანეთი და საზოგადოდ ადრიატიკის ზღვის სანაპიროები უახლოესი და თან საუკეთესო ბაზარია ავსტრიის ნაწარმოებისათვის, რასაც იგი ასე ადვილად ვერავის დაუთმობდა. ბოსნია-ჰერცოგოვინის შეერთების შემდეგ ეს ხელსაყრელი ბაზარი უფრო დაუახლოვდა ავსტრიის მიწა-წყალს. ვინ იცის, იქნებ ორმაგი იმპერია გულში იმ აზრსაც კი ელოლიავებოდა, რომ დადგება დრო და ადრიატიკის ზღვის სანაპირო ბოსნია-ჰერცოგოვინის ბედს განიცდისო. მაგრამ ბალკანეთის უეცრად ამტყდარმა ომმა ცოტა გემო შეუცვალა ავსტრიის მისწრაფებას. როდესაც ალბანეთის დაპყრობაზე მოკავშირეებს ხელი აეღებინეს, დაიბადა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის გავლენის ქვეშ უნდა დარჩენილიყო ალბანეთის მომავალი ავტონომიური სახელმწიფო. და, აი სწორეთ აქ, ავსტრიის მისწრაფებას პირის-პირ შეხვდა იტალიის სახელმწიფოებრივი ინტერესი. ალბანეთის ეკონომიურ ცხოვრებაში (სამხრეთ ნაწილში მაინც) იტალიაც იმდენადვე დაინტერესებული, რამდენადაც ავსტრია. ადრიატიკის ზღვის ეს ორი მეზობელი სახელმწიფო მუდამ ექიშპებოდნენ ერთმანეთს ალბანეთში პოლიტიკურისა და ეკონომიური უპირატესობის განსამტკიცებლად. რადგან ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად იმგვარად სწარმოებდა, რომ ახლო მომავალში შეუძლებელი იყო ერთისა ან მეორის სრული დამარცხება, ამიტომ მოქიშპენი თითქოს უხმოდ შეთანხმდნენ: თუ ალბანეთი არც ერთს შეერგება და არც მეორეს, დეე ნურც ერთის ნუ იქნება. ამ რიგად დაიბადა ავტონომიურ ალბანეთის შექმნის იდეა—ევროპულმა ქიშპობამ სამართლიანობის აღდგენას უნებურად ხელი შეუწყო. თუმცა პირველ ხანებში ბალკანეთის სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი სერბია-ჩერნოგორია ყურსაც კი არ იბერტყდნენ ავსტრიის „ფანტასტიურ" მოთხოვნილებაზე, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნენ აღიარებიათ ფაქტი ალბანეთის ხელუხლებლობისა. ელჩთა ლონდონის კონფერენციამ დაადასტურა ავსტრია-იტალიის მოთხოვნილება. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება სამთა კავშირის (გერმანია, ავსტრია, იტალია) სახელმწიფოთა დიპლომატიისა. ალბანეთის დამოუკიდებლობის საკითხი დღეს ალარავისათვის სადაო აღარ არის. ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები, ისე როგორც სამთა შეთანხმების სახელმწიფოებიც, თუმცა გულის წვით, მაგრამ მაინც საბოლოოდ დაემორჩილნენ ევროპის სურვილს. მიუხედავად ამისა, გორდიის ნასკვი მაინც გაუხსნელი დარჩა—ალბანეთის საკითხი დღესაც ისეთივე გამწვავებულია, თუ უმეტესად არა, როგორც პირველ ხანებში. ახლა სადავოდ გადაიქცა ალბანეთის მომავალი ავტონომიურ სახელმწიფოს საზღვრები. ბალკანეთის პატარა და სამთა შეთანხმების (ინგლისი, გერმანია და რუსეთი) სახელმწიფოები ცდილობენ, რაც კი შეიძლება შეჰკვეცონ ფარგალი ალბანეთის ავტონომიური სახელმწიფოსი, ხოლო სამთა კავშირი წინააღმდეგ პრინციპს ადგას—მას სურს „დიდი ალბანეთის" დამყარება, ე. ი., მის საზღვრებში უნდა შევიდეს ის ადგილებიც, სადაც ალბანელები დანარჩენ ერთა საერთო რიცხვთან შედარებით, თუმცა უმცირესობას შეადგენენ, მაგრამ პროპორციით თითოეულ მათგანს სჭარბობენ რაოდენობით. ამ საზომით ალბანეთის ავტონომიის ფარგალში მოჰყვებიან აგრეთვე სერბიელები და ბერძნები, რასაც ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან ეს უკანასკნელები. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ალბანეთის საზღვრების ჯეროვანად გამორკვევა მეტად ძნელი საქმეა, რადგან მცხოვრებთა ეთნოგრაფიულ არევ-დარევას სარწმუნოებრივი საკითხიც ართულებს. ალბანელები ამ მხრით სამ ჯგუფად იყოფიან: არიან მათ შორის მუსულმანებიც, მართლმადიდებელი ქრისტიანებიცა და კათოლიკეებიც. მართლმადიდებელ ალბანელებს თავისკენ ეპატიჟებიან მართლმადიდებელი სახელმწიფოები—სერბია და ჩერნოგორია, ხოლო კათოლიკეთა მფარველობას ავსტრია ჰკისრულობს და სწორედ ამიტომაცაა, რომ იგი დაჟინებით მოითხოვს ალბანეთის ფარგლის გაფართოებას. გარდა ამისა, ელჩთა კონფერენციის აზრით ქ. სკუტარი და მისი მიდამოები ალბანეთის საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ხოლო ჩერნოგორელებს, რომელებმაც დიდი მსხვერპლი შესწირეს სკუტარის ციხის აღებას და დღესაც სწირავენ, გაგონებაც კი არა სურთ იმისა, რომ ხელი აიღონ სკუტარის მდიდარ მიდამოებზე. ამრიგად შეიქმნა მოჯადოებული წრე: ავსტრია ელჩთა კონფერენციის დადგენილების ძალით მოითხოვს, რომ ჩერნოგორელებმა აჰყარონ სკუტარის ალყა, რადგან მათი მსხვერპლი უნაყოფოა—სკუტარი ალბანეთის კუთვნილებას შეადგენს, ხოლო ჩერნოგორელები უპასუხებენ: ან ეროვნული სიკვდილი, ან სკუტარიო. საკითხი იმ გარემოებამ უფრო გაამწვავა, რომ ჩერნოგორელმა დღემდი ვერ შესძლეს ციხის აღება. სკუტარი რომ ადრე დამხობილიყო, შესაძლებელია ევროპა და აგრეთვე ავსტრიაც შერიგებოდნენ ფაქტს, როგორც ბევრს რასმე შეურიგდნენ ამ ომის დროს. მოკავშირეებმა დაინახეს ჩერნოგორიის უმწეო მდგომარეობა და დახმარების ხელი გაუწოდეს უმცროს მოძმეს: სალონიკიდან საბერძნეთის გემებით ჩერნოგორელების საშველად წავიდა სერბიის ჯარის ორი დივიზია საციხოსნო მძიმე არტილერიით. ეს გარემოება საკმაო იყო, რომ ავსტრიის მოთმინების ფიალა ავსილიყო. ვენის მთავრობამ ფიცხელი პროტესტი განუცხადა სერბიის მთავრობას და მოითხოვა გაგზავნილი ჯარის უკანვე დაბრუნება. სერბიის მთავრობამ უარი სთქვა ავსტრიის მოთხოვნილების ასრულებაზე და მოტივად ის მოსაზრება იხმარა, რომ მოკავშირენი ხელშეკრულობის ძალით მოვალენი არიან ერთმანეთს დაეხმარონ. მაშინ ავსტრიამ ელჩთა ლონდონის კონფერენციას მიმართა დავის გადასაწყვეტად, მაგრამ რადგან იქაც ვერ აისრულა წადილი, პირდაპირი, დამოუკიდებელი მოქმედების გზა აირჩია. პოლის ნავთსადგურში მყოფს, სამხედრო გემებს უბრძანა ალბანეთის სანაპიროებისკენ წასვლა და თან ჩერნოგორიის მთავრობას, როგორც „დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო" გადმოგვცემს დღეს, ასეთი ულტიმატუმი წარუდგინა: „შეაჩერეთ სკუტარის იერიში, სანამ მშვიდობიანი მცხოვრებნი არ გამოვლენ ციხიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღს მივმართავთ". ავსტრიამ წინადაც წარუდგინა ასეთი მოთხოვნილება ჩერნოგორიას, რასაც უკანასკნელი დასთანხმდა და სკუტარის ციხის უფროსს შიკრიკები გაუგზავნა, რათა მას ნება დაერთო მშვიდობიან მცხოვრებთათვის ქალაქიდან გასვლისა, მაგრამ ჰასან-რიზამ არ შეიწყნარა ჩერნოგორელების თხოვნა, რა-

დგან ეშინოდა ციხის საიდუმლოს გამჟღავნებისა. ასე რომ, ჩერნოგორიის ჯარის მთავარსარდალი საბედისწერო მდგომარეობაში ჩავარდა: ან სრულიად ხელი უნდა აეღო ციხის იერიშზე, ან ყურადღება არ მიექცია ავსტრიის მოთხოვნილებისათვის და განეგრძო როგორც თვით ციხის, ისე ქალაქის განადგურებაც. მან ეს უკანასკნელი აირჩია და აი ავსტრიამაც ხელახლა და გადაჭრით მოითხოვა ბრძოლის შეჩერება. ცხადია ჩერნოგორია ვერ მოახერხებს ამ ულტიმატუმის მიღებას, რადგან იგი ხუთი თვის ჭაპან-წყვეტის გაუქმებას უდრის. მაშასადამე, რაღა დარჩენია საპასუხოდ? ომი. რასაკვირველია, სასაცილოა ავსტრიისა და ჩერნოგორიის ომის შესახებ ლაპარაკი—სად ერთი მუჭა ხალხი და სად ავსტრიასთან ომი, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჩერნოგორიას რუსეთის იმედით აქვს დიდი გული. რუსეთი და ევროპა ყოველ ღონეს იხმარს, რომ ჩერნოგორია-ავსტრიის დავა ომამდე არ მივიდეს, მაგრამ შესძლებს კი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილი ევროპის დიპლომატია შეუძლებელის მოგვარებას?

ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

**კოლხი.**

## ამბოხება ოსმალეთში

**დეპეშები.**

11 მარტი.

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ მთავრობა შიშობს ზავის ჩამოგდების დროს ამბოხება არ მოხდეს ოსმალეთშიო. ამის გამო უკიდურესი ზომებია მიღებული მთავრობის მოწინააღმდეგეთა ასალაგმავად. შინაგან საქმეთა მინისტრს სია აქვს 3.000 პირთა, რომელთა შორისაც 600 უკვე დაპატიმრებულია, მათ შორის 70 ოფიცერი. გუშინ დაატუსაღეს გენერალი ჯაილ-ოსმან-ფაშა. მთავრობამ, კომიტეტის დაჟინებულ თხოვნისამებრ, წინადადება მისცა პრინც ვახრედინს სტამბოლიდან გასულიყო. პრინცმა უარი განაცხადა. მის სახლს დარაჯები დაუყენეს. შეპყრობილია საბაჰ-ედენდი, რომელიც ხშირად დაიარებოდა პრინცთან. ირწმუნებიან, მიუხედავად გაძლიერებულ დევნისა, საშიში მოძრაობა წარმოებსო.

## ბალკანეთის ომი

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

11 მარტი.

**ათინა.** ერთი დღით დაგვიანების შემდეგ სალონიკში გემით მივიდნენ მეფე, პრინცესა მარიამი და ვენიზელოსი.

ესად-ფაშა, მისი ძმა ვეხიმ-ბეი იანინის გენერალურ შტაბით პირეიში მივიდნენ. ხალხი ესად-ფაშას ალტაცებით მიეგება.

## ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

11 მარტი.

**ავსტრია-ჰუნგრეთის ულტიმატუმი.**

**ცეტინიე.** (საჩქარო). ჩერნოგორიის პრეს-ბიურო იტყობინება, რომ ათ მარტს, დილის თერთმეტ საათზე ავსტრია-ჰუნგრეთმა ჩერნოგორიას ულტიმატუმი გადასცა: შეაჩეროს საომარი მოქმედება სკუტართან, სანამ ამ ქალაქიდან მშვიდობიანი მოსახლეობა არ გამოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ავსტრია-ჰუნგრეთი სამხედრო ძალას მიჰმართავსო.

**ლონდონი.** „რეიტერს" ცეტინიედან დეპეშით ატყობინებენ, რომ ავსტრია-ჰუნგრეთმა წინადადება მისცა ჩერნოგორიას, შესწყვიტოს სკუტარის წინააღმდეგ საომარი მოქმედება, ვიდრე ქალაქს ყველა მცხოვრები არ დასტოვებს, ამასთანავე ულტიმატუმში ნათქვამია, თუ ჩერნოგორია ამ მოთხოვნილებას არ შეასრულებს, ავსტრია-ჰუნგრეთი ძალას მიჰმართავსო.

**ვენა.** „მონტაგს-რევიუ" იუწყება, რომ ახალი ნოტა, რომლითაც ჩერნოგორიას მიჰმართა ავსტრია-ჰუნგრეთმა, ულტიმატუმს წარმოადგენსო. თუ მოთხოვნილება უარყოფილი იქნება, მიღებულია ზომები ძალით აიძულოს ჩერნოგორია ავსტრია-ჰუნგრეთის დასაკმაყოფილებლად. ცეტინიედან პასუხს ელიან.

**ბელგრადი.** ავსტრია-ჰუნგრეთის ულტიმატუმის ამბავმა ყველა წრეში დიდი აღშფოთება გამოიწვია. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ჩერნოგორიის კაბინეთმა რჩევისათვის სერბიის მთავრობას მიჰმართაო.

**დიდ სახელმწიფოთა შუამავლობა.**

**სოფია.** გაზეთი „მირი" დიდ სახელმწიფოთა შუამავლობის თაობაზე მსჯელობს და სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ დიდი სახელმწიფოთა შუამავლობა ამ ნაბიჯით არ განისაზღვრება და მიაღწევს მოკავშირეთა მოთხოვნილებების კანონიერ დაკმაყოფილებასო. საომარ მოქმედების შეწყვეტის თაობაზე გაზეთი ეჭვს გამოსთქვამს, რომ მოკავშირე სახელმწიფონი დასთანხმდნენ ამ მოთხოვნილებას, თუ ზავი უზრუნველყოფილი არ იქნებაო.

**ავსტრიის გემის შეპყრობა.**

**ბოლგარდი.** გაზეთი „პრავდა" მნახველთა სიტყვით გადმოგვცემს, რომ საბერძნეთი ფლოტმა სან-ჯიოვანი-დე-მედუას მახლობლივ შეიპყრო საომარ სურსათით და იარაღით დატვირთული ავსტრიის გემი. სურსათი ალბანიისთვის იყო გამზადებულიო. ხმებია, რომ დაიჭირეს მანდიხერის სისტემას ბევრი თოფი და 12 ზარბაზანი ყუმბარებით.

**ინგლისის პალატაში.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კინგი შეეკითხა მთავრობას, შეჰპირდა თუ არა ინგლის-საფრანგეთს 1905, 1908 და 1911 წელს ევროპის განხეთქილების შემთხვევაში თვისი ჯარით დაჰპარებოდა. ასკვიტმა უპასუხა რომ ინგლისის მთავრობას არავითარი გამოუქვეყნებული პირობა არ დაუდვიაო.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

11 მარტი.

**ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ**

**ყულჯა.** დუდუს თხოვნა, თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, მთავრობამ არ შეიწყნარა.

**ტოკიო.** ოფიციოზი იტყობინება, სუნიათსენმა ხაგასაკში სიტყვა წარმოსთქვა, აღნიშნა ჩინეთის და იაპონიის კავშირის საჭიროება. ეს კავშირიო,—სთქვა სუნიათსენმა—მომავალში აზიელ ხალხთ საშუალებას მისცემს მთელ ქვეყნიერებას ბატონად გახდესო. პრესა ამერიკის გამოსვლას ექვს სახელმწიფოთა კავშირიდან იმას აწერს, რომ ამერიკა ახლო მომავალში აღიარებს ჩინეთის რესპუბლიკას და მის ძთლიანობას ხელს შეუწყობსო.

**ჩიკაგო.** ხებრასკისა და ინდიანის ამოვარდნილმა ქარიშხალმა დიდი ზარალი მოიტანა. მოკლულია რამდენიმე ასი კაცი.

**ტრიპოლი.** რადგანაც მეამბოხენი ხშირად ესხმოდნენ თავს იტალიელებს, გენერალ ლეკის რაზმს ბრძანება მოუვიდა აილოს ასაშის სიმაღლენი. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირეთა ბანაკი გაანადგურა ლეკიოს რაზმმა.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** სამართალში მისცეს „პრავდას" რედაქტორი წერილისთვის „ამნისტიის შემდეგ". იგივე რედაქტორი დაჯარიმებულია 500 მანეთით სხვა წერილისთვის.

**მოსკოვი.** 500 მანეთით დააჯარიმეს „უტრო როსიის" რედაქტორი.

**პეტერბურგი.** „ვეჩერ. ვრემ." რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმეს.

**მინსკი.** საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, დაარსონ მინსკში სამკურნალო ფაკულტეტი და სამოსწავლო ინსტიტუტი.

**პეტერბურგი.** ცნობათა მიმცემი ბიუროს სიტყვით, სიმართლეს მოკლებულია, ვითომც როტმისტრი ტრეშჩენიკოვი შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებო საქმეთა მოხელედ დაენიშნოთ.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ სათათბიროში შესატანად მოიწონა სახელმწიფო რკინის გზათა სამსახურის პროექტი.

## შემოწირულობა

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:**

1) ანა გრიგოლის ასულმა კაპანაძისამ: ა) სოფ. ნოსტეში, აკლდამებში ნაპოვნი შვიდი თიხის ჭურჭელი, სამაჯური და საყურეები, და ბ) ახალქალაქში, აკლდამაში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები; 2) ვერა გაბრიელის ასულმა ჯაჯანაშვილისამ: ძველებური, ვერცხლის საქათიბო 17 ცალი ჩაფრაკი (ღილი); 3) ეკატერინე ბაგრატის ასულმა ჯორბენაძისამ: ქართული კაბის 8 ცალი ვერცხლის დუგმა; 4) ელისაბედ გრიგოლის ასულმა გოგბერიძისამ: ძველებური, სირმით ნაქარგი საფულე ქისა ხავერდისა; 5) ანა ლონგინოზის ასულმა ელისაბედაშვილისამ: ა) ხუცური წიგნი და ბ) სადაფი; 6) სირინოზ ალექსის ასულმა გოგიბედაშვილისამ: ა) ვერცხლით მოჭედილი ჩიბუხი, ბ) შავი ფული და გ) კბილის ძველებური გაზის ნატეხი; 7) მარიამ გიორგის ასულმა ბეჟანიშვილისამ: ძველებური თოფის სალტა; 8) მარიამ ივანეს ასულმა გორგაძისამ: შუბლის ქინძისთავი ძველებური და ბ) სირმით ნაქარგი ქისა; 9) კეკე გაბრიელის ასულმა ქამხაძისამ: შავი ფული; 10) სალომე აღდგომელას ასულმა ქამრაძისამ: სპილენძის კულა (მეცხვარისა); 11) ნინა გრიგოლის ასულმა კარგარეთლისამ: საძი შავი ფული; 12) ეფემია მათეს ასულმა ბატკუაშვილისამ: ორი ხელნაწერი; 13) ანიკო ბესარიონის ასულმა პაპიძისამ: ძველებური მოხარატული ხის სამარილე; 14) ელისაბედ ესტატეს ასულმა კორკოტაშვილისამ: ოქრომჭედლის დასახვევი ფითილა (სპილენძისა); 15) ეკატერინე ალექსის ასულმა გოგიაშვილისამ: ძველებური ვერცხლის შუბლის ქინძისთავი; 16) ევა სოლომონის ასულმა მაღალაშვილისამ: ა) მხედრული ნაბეჭდი საბარეშა, ბ) სადაფის ბუდის ზემო პირი (ოქრომკედით ნაქარგი) და გ) სადაფის ფირფიტა; 17) მაკრინე ალექსის ასულმა მაღალაშვილისამ: ქართული ორ-აბაზიანი (დაზიანებული); 18) ალექსანდრა ადამის ასულმა კაციაშვილისამ: ჩუქურთმიანი კიდობანი; 19) მართა ესტატეს ასულმა თაზიშვილისამ: ა) წითელ ხავერდზე ნაკერი ბალიშის პირი, ფერად ნაქრებით ნაქსოვი, ბ) კედლის ხალიჩის ნაჭერი და გ) ღვრინჭილის შანდალი; 20) ოლა მიხეილის ასულმა ნატროშვილმა: ხარატული ხის სამარილე; 21) ანასტასია იაკობის ასულმა თათარაშვილისამ: მიწაში ნაპოვნი ერთი თეთრი და ორი შავი ფული; 22) მარიამ ივანეს ასულმა არაქელაშვილისამ: სოფელ ახალქალაქში, აკლდამაში ნაპოვნი სურა (თიხისა); 23) ბარბარე იოსების ასულმა ოქრუაშვილისამ: ერთი თეთრი და ორი შავი ფული; 24) ოლგა გიორგი ასულმა გულისაშვილისამ: მამაკაცის ბეჭედი ვერცხლისა, ბაყაყის სახიანი; 25) ანნა დავითის ასულმა ამილბარაშვილისამ: ხელნაწერი (მხედრული); 26) ეკატერინე თევდორეს ასულმა ამილბარაშვილისამ: ა) სადაფი და მიწაში ნაპოვნი ბეჭედი; 27) სოფიო ესტატეს ასულმა ამილბარაშვილისამ: სადაფი ბუდით; 28) ბარბარე კონსტანტინეს ასულმა ამილბარაშვილისამ: ორი ხელნაწერი; 29) ნინო კონსტანტინეს ასულმა ამილბარაშვილმა: ხელნაწერი; 30) ანნა ანდრიას ასულმა ამილბარაშვილისამ: ა) ორი შავი ფული, ბ) ვერცხლის ჯვარი და გ) ვერცხლის ჩანჩხურები და დ) ქარვა; 31) ნატალია ალექსის ასულმა ამილბარაშვილისამ: ხელნაწერი; 32) ელენე გიორგის ასულმა ნახუცრიშვილმა: ფულები.

## წერილ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა უძღვნათ ბაქოს მოქალაქეს ბ-ნ **ჰაჯი-ისრ. ფილ ჰაიდამიროვს**, რომელმაც ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს 50 მანეთი შემოსწირა.

წრის გამგეობის თავმჯდომარე **გ. შათირიშვილი.**

## ჩაუბარებელი დეპეშები

11 მარტისა: გორიდან—კანდელაკს.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**( ზ ა მ თ ა რ ო ბ ი თ ).**

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8**, საღ. 1 ს. 26 წ. **ჩქარი № 2**, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო № 4**, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ. № 6**, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი № 106**, საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ. №№ 107**, დილ. 4 ს 38 წ. **სახ. № 5**, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ. № 3**, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ. № 4**, საღ. 9 ს 4 წ. **სახ. № 11**, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ. № 106**, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-სახ. № 8;7**, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ. № 4;3**, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-სახ. № 6;5**, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6**, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ. № 107**, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ. № 5**, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ. № 3**, დილ. 9 ს. **ჩქარ. № 1**, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-სახ. № 7**, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ. № 12**, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ. № 4**, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ. № 6**, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ. № 106**, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-სახ. № 83;7**, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-სახ. № 65**, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ. № 43**, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 6**, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61**, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-სახ № 63**, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-სახ. № 65**, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-სახ. № 67**, ნაშ. 3 ს. 18 წ. **სახ.-სახ. № 69**, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-სახ. № 71**, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60**, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-სახ. № 62**, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-სახ. № 64**, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-სახ. № 66**, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-სახ., № 68**, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-სახ. № 70**, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77** დილ. 5 ს. 26 წ. **სახ. № 79**, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ. № 81**, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ. № 83**, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ. № 85**, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76**, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ. № 78**, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ. № 80**, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ. 82**, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ № 84**, ღამ. 1 ს. 38 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30**, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28**, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26**, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ. № 4 п**, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ. № 6**, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ. № 8 п**, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п** შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ. № 7 н**, საღ 7 ს. 21 წ. **სახ. № 5 п**, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ. № 25 г** ნაშ. ს. 18 წ.

**ბათ ომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18**, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ. № 14**, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ. № 16**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13**, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ. № 15**, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ. № 17**, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ № 17**, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18**, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ. № 14**, დილ. 5 ს. 43 წ, **სახ. № 16**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16**, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46**, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ. № 65**, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ. № 86**, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36**, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ. № 55**, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ. № 76**, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; I ვაგონი პირვ. კლასისა, I მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასი ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მიხაილის**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. ოპთეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირზოევი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ამალაკნის მოედანზე.

### გემების მიმოსვლა

**( ზ ა მ თ ა რ ო ბ ი თ )**

**15 ოქტომბრიდან,**

**შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის"** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გ მი შაბ., და კვირ., ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სა ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.**, ჩაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ., პარ** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამშ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური"** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.

**ენზელს** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ., და სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

## განცხადებანი


**გამოცდილი რეპეტიტორი ამზადებს** საშუალო და დაბალ სასწავლებლის ყველა კლასისათვის.

**მისამართი:** ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 80. იკითხეთ სტუდენტი. 151

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ სნეულებათა მკურნალი. მეყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა № 3. ს. გაბაშვილისა.

**ჩემთვის საჭიროა გამოვაწეროთ კანა** ყანის მომკალ-შემკრავ მანქანისათვის, ( ჯდება ტფილისში ნავთლუღის სადგურა 8 მან. ფუთი და კერძო მყიდავნი კი თუმს და მეტადაც ჰყიდ ან, ამიტომ წინადადება ვაძლევ, ვისაც **კანაფი სჭირდება** სამკალში, შემიკვეთოს და ფუთზე. ნახევარი ბეე წარმომიდგინოს ახლავე, გამოწერის წინ. **მისამართი:** ორბელიანთ ქ. 20, ტფილისში მთ. ნ. ოქრომჭედლიშვილი. 50

### თესლეულობა

საუკეთესო ხარისხსა, ნაცადია, არაოდეს არ მოსცდება, ხახვის ღივი, ხენდრო, მცენარეთა ნერგები, ადრეული კარტოფილი. ფასები სინდისიერია.

**ს. მ. კოველის თესლეულობის დეპო** ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 27. 1087

### ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შ ე ხ ა პ უ რ ე ბ ა კონსულტატიურად.**

**ა. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. აგაბაბოვა:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, ნაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნოსი და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი სიჭარბე და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** —2 ს. სნებებით და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშ**სა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გ ა მ ც ე მ ი"** დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

### მუხრანის კერძო სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

| | ექიმები | დილით: |
|---|---|---|
| [illegible] | **სპექტოროვი გ. მ.** | $8^1/_2$—$9^1/_2$ ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | $9^1/_2$—$10^1/_2$ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| [illegible] | **მიკირტუმოვი** | 10—11 ს. |
| | **ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| [illegible] | **შაპელნიკოვი გ. ი.** | $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606" და „914"**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შეძენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი ქვირითის (კეტოვ.) ზიზილალა

თევზის მრეწველნი **ძმ. მეგველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქეტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მალაზია **მოხარშული ღორის, ზურგიელი** და ყოველგვარი **✦ შავი ხიზილალა ✦**